მინიმალური ანგარიშით

ერევანი. “რაზდანის” სტადიონი. 18 სექტემბერი.

“არარატი” (ერევანი) – “დინამო” (თბილისი) 1:0 (1:0).

“არარატი”: პოდშივალოვი, კირაკოსიანი, სარქისიანი, აშ. ხაჩატრიანი, რაფ. გალუსტიანი, ქეროფიანი, მარქარიანი, რობ. გალუსტიანი, ქოჩარიანი, ჩილინგარიანი, მხითარიანი (ვ. ხაჩატრიანი).

“დინამო”: გაბელია, მიქაბერიძე, ჩივაძე, ჭედია, გოგრიჭიანი (ბარათაშვილი), კაკილაშვილი, სვანაძე, სულაქველიძე, გურული, ცაავა (მესხი), ჩელებაძე.

მსაჯი: ა. ხოხრიაკოვი (იოშკარ–ოლა).

გააფრთხილეს გოგრიჭიანი.

დუბლიორები – 0:1. ბურთი გაიტანა ჟორდანიამ.

ერევნელმა ფეხბურთელებმა თამაში დაიწყეს სწრაფად, ტემპიანად, უკვე პირველ წუთებზე ხელსაყრელი მომენტები შეექმნათ კირაკოსიანს, რობ. გალუსტიანს, ქოჩრიანს, გაბელიას ორჯერ მოუხდა სახიფათო ბურთის აღება.

საკმაო ხნის განმავლობაში თამაში კვლავინდებურად “არარატის” უპირატესობით მიმდინარეობდა, დინამოელები კი ყოველნაირად ცდილობდნენ შეენელებინათ ტემპი. მართლაც, შუა ტაიმში მდგომარეობა გათანაბრდა, ბურთმა მასპინძელთა მხარეს გადაინაცვლა, მაგრამ მე–40 წუთზე თბილისელთა საჯარიმო მოედანზე თავისუფალი დარტყმა დაინიშნა, ერევნელებმა იგი კარგად გაითამაშეს და ქოჩარიანმა ახლო მანძილიდან გახსნა ანგარიში – 1:0.

შესვენების შემდეგ ბრძოლა გაცილებით უფრო დაძაბული და საინტერესო გახდა. დინამოელებმა ახლა თავით შესთავაზეს მაღალი ტემპი მეტოქეს, ერევნელები იძულებული იყვნენ გაძლიერებული ძალებით დაეცვათ თვი და ხშირი კონტრიერიშებით ეპასუხათ. რამდენიმე ვითარებაში თბილისელებს შეეძლოთ საპასუხო ბურთი გაეტანათ, მაგრამ მათ ეს ვერ შეძლეს და მატჩი “არარატის” სასარგებლოდ დამთავრდა – 1:0.

“ლელო”, 19 სექტემბერი, 1985 წ.